# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# „რეგალია“-ს

# ფინანსური ანგარიშგება

# 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი

202356672

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**შპს რეგალია**
**ფინანსური მდგომარეობა-ბალანსი**

| 31 დეკემბრის მდგომარეობით | შენიშვნა | 2022წ | 2023წ |
|---|---|---|---|
| **აქტივი** | | | |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტი | 3 | 407,375.00 | 284,338.00 |
| გადახდილი ავანსები | 4 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან | 4 | 10,475.00 | 21,451.00 |
| სასაქონლო მატერიალური მარაგი | 5 | 525,159.00 | 832,902.00 |
| კაპიტალის შევსება | 10 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯი | 4 | 519.00 | 0.00 |
| გადახდილი გადასახადები | 15 | 13,623.00 | 0.00 |
| **მიმდინარე აქტივები** | | **957,151.00** | **1,138,691.00** |
| ძირითადი საშუალებები | 6 | 68,314.00 | 122,962.00 |
| მიწა | 6 | 0.00 | 0.00 |
| არამატერიალური აქტივი | 7 | 6,496.00 | 6,050.00 |
| შენობები | 6 | 0.00 | 0.00 |
| სხვა გრძელვადიანი ინვესტიცია | 6 | 0.00 | 0.00 |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | **74,810.00** | **129,012.00** |
| ***სულ აქტივები*** | - | **1,031,961.00** | **1,267,703.00** |
| **ვალდებულება** | | | |
| კრედიტორული დავალიანება | | | |
| გადასახდელი გადასახადები | 15 | 0.00 | 40,430.00 |
| სავაჭრო ვალდებულება | 8 | 214,073.00 | 170,778.00 |
| მოკლევადიანი სესხები | 9 | 0.00 | 0.00 |
| გადასახდელი დივიდენდი | | | |
| გადასახდელი ხელფასები | 8 | 0.00 | 0.00 |
| **მოკლევადიანი ვალდებულება** | | **214,073.00** | **211,208.00** |
| გრძელვადიანი სესხი | 9 | | |
| სხვა გრძელვადიანი გადასახადი(ლიზინგი) | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულება** | | | |
| ***სულ ვალდებულება*** | - | **214,073.00** | **211,208.00** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 10 | 600,100.00 | 734,100.00 |
| საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი | | 217,788.00 | 322,395.00 |
| სხვა რეზერვები-გადაფასება | | 0.00 | 0.00 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **817,888.00** | **1,056,495.00** |
| ***სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულება*** | | **1,031,961.00** | **1,267,703.00** |

დირექტორი: [signature] თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: [signature] ფიქრია ხომალდიშვილი

202356672

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**შპს რეგალია**
**საქმიანობის შედეგი-მოგება ზარალი**

| 31 დეკემბრის მდგომარეობით | შენიშვნა | 2022წ | 2023წ |
|---|---|---|---|
| **ამონაგები** | 11 | 1,311,768.00 | 1,817,625.00 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 12 | -684,688.00 | -917,598.00 |
| **საერთო მოგება** | | 627,080.00 | 900,027.00 |
| სხვა საწარმოო შემოსავლები | 11 | 26,818.00 | 38,201.00 |
| კომერციული ხარჯები | | -41,643.00 | -32,368.00 |
| ხელფასი | | -193,609.00 | -438,143.00 |
| საიჯარო ქირა | | -111,825.00 | -209,794.00 |
| საკონსულტაციო ხარჯი | | 0.00 | 0.00 |
| ადმინისტრაციული ხარჯები | | -41,418.00 | -102,337.00 |
| ცვეთის ხარჯი | | -4,763.00 | -11,400.00 |
| სხვა საწარმოო ხარჯები | | -42,736.00 | -37,426.00 |
| **სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი** | | 217,904.00 | 106,760.00 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | 217,904.00 | 106,760.00 |
| მოგების გადასახადი | | -116.00 | -2,153.00 |
| საშემოსავლო გადასახადი საურავი | | 0.00 | 0.00 |
| **გაუნაწილებელი მოგება** | | 217,788.00 | 104,607.00 |

დირექტორი: თ. [signature] თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: [signature] ფიქრია ხომალდიშვილი

202356672 GEORGIA. "ARTTIME" LTD.

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია რეგალია წარმოადგენს საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2022 წლის 14 აპრილიდან, მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ცაბაძის ქუჩა N9, მინიჭებული აქვს საიდენთიფიკაციო კოდი: 402211879.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია გიორგი ღვინიაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ჩემოდნებით ჩანთებით, სხვადასხვა აქსესუარებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

2023 წლის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 23 თანამშრომელი.

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

### 2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ამავედროულად გაკეთებულია ისეთი შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების,

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

202356672

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი

ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2.7020 ლარს, 1 ევრო 2.8844 ლარს, 1 შვეიცარული ფრაკი შეადგენდა 2.9322 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2.6894 ლარს, 1 ევრო 2.9753 ლარს, 1 შვეიცარული ფრაკი შეადგენდა 2.2085 ლარს.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და სხვა მოკლევადიან მაღალი ლიკვიდობის ინვესტიციებს .

დირექტორი: [signature] თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: [signature] ფიქრია ხომალდიშვილი

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**შენიშვნა 3 -ფული და ფულადი ექვივალენტები**

| | 31.12.2022 | 31.12.2023 |
|---|---|---|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე | 200724 | 263122 |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე | 200584 | 18167 |
| **სულ** | **401309** | **281289** |
| ნაღდი ფული სალაროში | 6066 | 3049 |
| **სულ ფული და ფულადი ექვივალენტები** | **407375** | **0284338** |

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს,მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში.

**შენიშვნა 4 - მოთხოვნები მიწოდებიდან და სხვა მოთხოვნები**

| | 31.12.2022 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 10475 | 21451 |
| წინასწარ გაწეული ხარჯი | 519 | 0 |
| **სულ დებიტორული დავალიანება** | 10994 | **21451** |

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მოწმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში.

| **შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები** | **31.12.2022** | **31.12.2023** |
| --- | --- | --- |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 525159 | 832902 |
| **სულ ნედლეული და მასალები** | **525159** | **832902** |

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო გამოყენების ვადებზე განაწილებით: შენობებისთვის 25 წელი, სატრანსპორტო საშუალებები 15 წელი, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 10-15 წელი, დანარჩენი ძირითადი საშუალებებისათვის 5-15 წელი.

დირექტორი: [signature] თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: [signature] ფიქრია ხომალდიშვილი

202356672

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

## შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

| | შპს რეგალა | 2150 | 2160 | 2171 | 2175 | 2180 | 2190 | 2195 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა | ტექნიკური ინვენტარი | კომპიუტერული ტექნიკა | სატრანსპორტო საშუალებები | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სხვადასხვა მოწყობილობები |
| | **ნარჩენი ღირებულება 31/12/2021** | | 14207.00 | | 17813.00 | 40000.00 | | 870.00 |
| **2022** | შეძენა,დამატება | | (378.00) | | (1465.00) | (2667.00) | | (67.00) |
| **2022** | აქტივების ჩამოწერა/რეალიზება | | | | | | | |
| **2022** | ცვეთა პერიოდისთვის | | | | | | | |
| **2022** | ჩამოწერილი/რეალიზებული აქტივების ცვეთა | | | | | | | |
| | **ნარჩენი ღირებულება 31/12/2022** | **0.00** | **13829.00** | **0.00** | **16348.00** | **37333.00** | **0.00** | **803.00** |
| **2023** | შეძენა,დამატება | 10725.00 | 29271.00 | 1181.00 | 350.00 | | 24075.00 | |
| **2023** | აქტივების ჩამოწერა/რეალიზება | (357.00) | (2741.00) | (138.00) | (2802.00) | (4000.00) | (802.00) | (114.00) |
| **2023** | ცვეთა პერიოდისთვის | | | | | | | |
| **2023** | ჩამოწერილი/რეალიზებული აქტივების ცვეთა | | | | | | | |
| | **ნარჩენი ღირებულება 31/12/2023** | **10368.00** | **40359.00** | **1043.00** | **13896.00** | **33333.00** | **23273.00** | **689.00** |

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

202356672

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი

## 2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით 10-15 წელი.

**შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივები**

შპს რეგალია 2590

| | | არამატერიალური აქტივი |
|---|---|---|
| | **ნარჩენი ღირებულება 31/12/2021** | 6681.00 |
| **2022** | შეძენა,დამატება | (185.00) |
| | აქტივების ჩამოწერა/რეალიზება | |
| | ცვეთა პერიოდისთვის | |
| | ჩამოწერილი/რეალიზებული აქტივების ცვეთა | |
| | **ნარჩენი ღირებულება 31/12/2022** | **6496.00** |
| **2023** | შეძენა,დამატება | |
| | აქტივების ჩამოწერა/რეალიზება | (445.00) |
| | ცვეთა პერიოდისთვის | |
| | ჩამოწერილი/რეალიზებული აქტივების ცვეთა | |
| | **ნარჩენი ღირებულება 31/12/2023** | **6051.00** |

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი

## 2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

**შენიშვნა 8 - მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები**

| | 31.12.2022 | 31.12.2023 |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებილება | 214073 | 170778 |
| გადასახდელი ხელფასი | 0 | 0 |
| **სულ კრედიტორული დავალიანება** | **214073** | **170778** |

## 2.9 სესხები

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და ჩაირთვება ფინანსურ ხარჯებში.

**შენიშვნა 9 - მოკლევადიანი სესხები**

| | 31.12.2022 | 31.12.2023 |
|---|---|---|
| მოკლევადიანი სესხები | 0 | 0 |
| **სულ სესხები** | **0** | **0** |

დირექტორი: თ. [signature] თინათინ მიქელაძე

202356672 GEORGIA "ARTTIME" LTD

მთ. ბუღალტერი: [signature] ფიქრია ხომალდიშვილი

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება ხდება მხოლოდ პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.11 ამონაგები

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.მომსახურეობის რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში როდესაც მომსახურეობა გაიწევა კომპანიის მიერ.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**შენიშვნა 11 -შემოსავალი რეალიზაციიდან**

| | **31.12.2022** | **31.12.2023** |
|---|---|---|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 1311768 | 1817625 |
| სხვა საწარმოო შემოსავლები | 26818 | 38201 |
| **სულ შემოსავალი** | **1338586** | **1855826** |

2.12 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგი საქონლის რეალიზაციის თვითღირებულებისაგან და იმ ხარჯებისგან რომელიც გაწეულია ამ პროდუქციის და მომსახურების მიწოდებაზე.თვითღირებულება ითვლება FIFO მეთოდით.

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი

202356672

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**შენიშვნა 12 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

| | **31.12.2022** | **31.12.2023** |
|---|---|---|
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება | 684688 | 917598 |
| **რეალიზებული პროდუქტის ღირებულება** | **684688** | **917598** |

2.13 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

2.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი/შემოსავალი მოიცავს მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებას,რომლისთვისაც ვიყენებთ ესტონურ მოდელს. მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდესის მიხედვით.

2.15 საბიუჯეტო გადასახადი

ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოიშობა კომპანიის მიერ საქონლის და მომსახურეობის მიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელი დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელი თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი

შპს რეგალიას ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**შენიშვნა 15 - გადახდილი და გადასახდელი გადასახადები**

| | 31.12.2022 | 31.12.2023 |
|---|---|---|
| გადასახადების ერთიანი კოდი | 13623 | 40430 |
| **სულ გადახდილი გადასახადები** | **13623** | **40430** |

2.16 დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.

2.17 მსს ფაას პირველადი გამოყენება

კომპანიის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება  წარმოადგენს მის მეორე ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 14 აპრილი.

დირექტორი: თინათინ მიქელაძე

მთ. ბუღალტერი: ფიქრია ხომალდიშვილი